# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №98/გ

ქ. მცხეთა 22 სექტემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ნუგზარ რომელაშვილი“, შემდგომში „მომწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2016 წლის 24 სექტემბერს სოფ. გალავანში ქართულ ჭიდაობაში „რეზო დვალის“ სახელობის ღია ტურნირისათვის მთავარი პრიზი „ჭედილას“ შესყიდვა. (CPV03322100)-250 ლარი.

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1. საქონლის მიწოდების ვადაა არაუგვიანეს 2016 წლის 24 სექტემბრისა.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 250 ლარი.

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით . მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი'' კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4.2 „შემსყიდველი'' კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 საქონლის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის და გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"

ი/მ „ნუგზარ რომელშვილი"
ს/კ 31001035423
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE40LB0711118508581000
მის: სოფ. წინამძღვრიაანთკარი

ინდ. მეწარმე

ნ. რომელშვილი

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 236098824
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბ/კ TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე